

შპს ერთობა 2018

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა	3
ფინანსური მდგომარეობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	4
საქმიანობის შედეგების (ინდივიდუალური) ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების (ინდივიდუალური) ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება	7
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძელი	9
3. ფუნქციონალური ვალუტა	9
4. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა	9
5. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები	9
6. გაცემული სესხები და მათზე დარიცხული პროცენტები	11
7. არამატერიალური აქტივები	12
8. ფული და ფულის ექვივალენტი	12
9. საწესდებო კაპიტალი	12
10. გაუნაწილებელი მოგება	12
11. გრძელვადიანი ვალდებულებები	12
12. მიმდინარე ვალდებულებები	12
13. ცვეთა და ამორტიზაცია	13
14. სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	13
15. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები	13
16. სავალუტო და სხვა რისკები	13
17. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	13
18. ანგარიშგების დამტკიცება	13

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ერთობა 2018“-ის („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ცვლილებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული ტრანზაქციის, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის ტრანზაქციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ერთობა 2018“

ფინანსური მდგომარეობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისათვის
(ლარებში)

		31 დეკ 2021	31 დეკ 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გაცემული სესხები	6	22,582,517	24,051,587
დარიცხული პროცენტები	6	13,008,098	10,270,554
არამატერიალური აქტივები	7	964	1,320
სულ გრძელვადიანი აქტივები		35,591,579	34,323,461
მიმდინარე აქტივები			
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	6	1,260,000	1,260,000
ფული და ფულის ექვივალენტები	8	5	5
სულ მიმდინარე აქტივები		1,260,005	1,260,005
სულ აქტივები		36,851,584	35,583,466
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	26,975,045	26,975,045
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	10	9,874,768	8,606,650
სულ საკუთარი კაპიტალი		36,849,813	35,581,695
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	11	-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე	12	1,671	1,671
ვალდებულება აქციონერის წინაშე	12	100	100
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,771	1,771
სულ ვალდებულებები		1,771	1,771
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		36,851,584	35,583,466

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ერთობა 2018“

საქმიანობის შედეგების (ინდივიდუალური) ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

(ლარებში)

		2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	5	2,737,544	2,883,902
შრომის ანაზღაურება		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	13	(356)	(356)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	14	-	(45)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან (გადაფასებიდან)		(209,070)	477,590
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე გაგრძობითი ოპერაციებიდან		2,528,118	3,361,091
მოგება (ზარალი) დაბეგვრის შემდეგ გაგრძობითი ოპერაციებიდან		2,528,118	3,361,091
შეწყვეტილი ოპერაციები		-	-

კომპანიას არ გააჩნია სხვა სრული შემოსავალი (comprehensive income) და არ ჰყავს წილობრივი საწარმოები (შესაბამისად არ აქვს არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის მიკუთვნებადი მოგება/ზარალი).

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გიორგო ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ერთობა 2018“

კაპიტალის ცვლილების (ინდივიდუალური) ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

(ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 31.01.2019	28,550,000	2,070,976	30,620,976
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ფულადი შემცირება	(315,000)	-	(315,000)
წლის მოგება	-	3,174,583	3,174,583
მოგების განაწილება	-	-	-
ნაშთი 31.12.2019	28,235,000	5,245,559	33,480,559
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ფულადი შემცირება	(1,259,955)	-	(1,259,955)
წლის მოგება	-	3,361,091	3,361,091
მოგების განაწილება	-	-	-
ნაშთი 31.12.2020	26,975,045	8,606,650	35,581,695
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ფულადი შემცირება	-	-	-
წლის მოგება	-	2,528,118	2,528,118
მოგების განაწილება	-	(1,260,000)	(1,260,000)
ნაშთი 31.12.2021	26,975,045	9,874,768	36,849,813

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ერთობა 2018“

ფულადი სახსრების მოძრაობის (ინდივიდუალური) ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის

(ლარებში)

	2021	2020
საოპერაციო საქმიანობაზე დახარჯული ფულადი სახსრები		
ბანკის საკომისიოები		(45)
სულ საოპერაციო საქმიანობაზე დახარჯული ფულადი სახსრები	-	(45)
საინვესტიციო საქმიანობა		
არამატერიალური აქტივების შემცირება/(ზრდა)	-	-
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(356)	(356)
გაცემული სესხის დაბრუნება	1,260,000	1,260,000
მიღებული პროცენტები	-	-
სულ საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ფულადი გასაგებები	1,260,000	1,260,000
ფინანსური საქმიანობა		
კომპანიის კაპიტალში ფულადი შემონატანი	9	
ვალდებულება აქციონერის მიმართ		
დივიდენდის გაცემა	10 (1,260,000)	
კაპიტალის შემცირება	9 -	(1,259,955)
სულ ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1,260,000)	(1,259,955)
სულ ცვლილება	-	-
საკუროსო ეფექტი	-	-
საწყისი ნაშთი	5	5
საბოლოო ნაშთი	5	5

ზვიად მეფარიშვილი
დირექტორი

გიორგი ციმაკურიძე
ფინანსური მენეჯერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ერთობა 2018“ (405255753) დაფუძნდა 2018 წლის 27 თებერვალს.

კომპანიის 100% მეწილეა ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია, რომლის აქციონერებიც თავის მხრივ წარმოდგენილია სს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას საჯარო ფინანსურ ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელები და მათი კუთვნილი პირდაპირ ფლობილი წილები იყო:

ძირითადი აქციონერები	ფლობილი წილი	საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები
„ჰელვეცია პეტროლიუმ ჰოლდინგი ზ.ვ.“	25.00%	გიორგი რამიშვილი - 62% ალექსი თოფურია - 28.5% დევიდ ბორგერი - 9.5%
„გლობალ ინვესტორს ლიმიტედი“	61.96%	სამსონ ფხაკაძე - 50% ლევან ფხაკაძე - 50%
შპს „სტანდარდ ოილ ჰოლდინგი“	10.86%	ნუგზარ აბრამიშვილი - 76% ლევან ფხაკაძე - 24%
ლევან ფხაკაძე	2.18%	
100.00%		

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სხვადასხვა მაკონტროლებელი მხარის მიერ ფლობილი ეფექტური წილები იყო:

საბოლოო	ფლობილი წილი
ლევან ფხაკაძე	35.77%
სამსონ ფხაკაძე	30.98%
გიორგი რამიშვილი	15.50%
ნუგზარ აბრამიშვილი	8.25%
ალექსი თოფურია	7.12%
დევიდ ბორგერი	2.38%
სულ	100.00%

მფლობელთა ეფექტური ხმის უფლებები მათი ეფექტური ფლობილი წილებისგან არ განსხვავდება.

კომპანიას აქვს გაცემული სესხები დაკავშირებულ პირებზე, რომელიც ნაწილობრივ არის კომპანიის აქციონერის მიერ 2018 წლის 1 მარტს კაპიტალში შემოტანილი მოთხოვნის უფლებები, ხოლო ნაწილობრივ აქციონერის მიერ ფულადი შენატანით გაცემული სესხები იგივე დაკავშირებულ პირებზე.

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები, ის არ ფლობს წილს არცერთ სხვა კომპანიაში.

2. მომზადების საფუძელი

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა მოამზადა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს მოქმედებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც გულისხმობს იმას, რომ ის განჭვრეტად მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის მიმდინარეობისას.

3. ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ლარი.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიას სესხები გაცემული აქვს გაცემის მომენტში ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული საბაზრო განაკვეთებთან ადექვატურ პროცენტში (იხ. შენიშვნა 5), შესაბამისად პროცენტის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნიშნულის მიხედვით.

სესხებზე არ არის გათვალისწინებული გაცემის ან რაიმე ტიპის საკომისიო და შესაბამისად ეფექტური განაკვეთი ტოლია ხელშეკრულებაში დაფიქსირებული პროცენტისა.

დოლარში გაცემულ სესხზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველი თვის ბოლოს არსებული კურსით. სესხები გაცემულია ძირითადად ლარში, ხოლო აშშ დოლარში გაცემული ერთი სესხის გადაფასება ხდება ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სესხების რეზერვირებასთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 16.

არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათზე გაწეული დანახარჯის შესაბამისად, არ ხდება მათი გადაფასება და მათი ამორტიზაცია მიმდინარეობს წრფივი მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების იმ მუხლების შესაბამისი ოდენობა რომელიც წინამდებარე ანგარიშგებაში მითითებული არ არის ნულის ტოლია.

კომპანიის ფინანსური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის კი გამოყენებულია საკასო მეთოდი.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის შეფასებით გაცემული სესხების ხელშეკრულებაში გაწერილი განაკვეთები ადექვატურია საბაზრო პროცენტებისა.

კომპანიის შეფასებით გაცემულ სესხებზე შეთანხმებული პირობა ძირის პროცენტამდე დაფარვის შესახებ მატერიალურ გავლენას არ ახდენს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე.

კომპანიის ერთადერთი არამატერიალური აქტივის (საბუღალტრო პროგრამის) სასიცოცხლო ციკლი განსაზღვრულია 5 წლის, ნულოვანი სალიკვიდაციო ღირებულებით. აღნიშნული დაშვება გამომდინარეობს როგორც თვითონ აქტივის სავარაუდო ვადით, ასევე კომპანიის მიერ მისი გამოყენების სავარაუდო გეგმით (რომელიც ემყარება ნაწილი სესხების დაბრუნების გრაფიკს).

მე-11 შენიშვნაში ხსენებული ვალდებულებაზე უარის თქმა არ იწვევს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მატერიალურ ცვლილებას.

ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე.

6. გაცემული სესხები და მათზე დარიცხული პროცენტები

ქვემოთ მითითებულ ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ. კომპანიას არ აქვს ყველა სესხზე შეთანხმებული დაბრუნების გრაფიკი, თუმცა სს სმარტ რითეილზე გაცემული სესხების გრაფიკის გათვალისწინებით და სს ვენჯორჯიას პოტენციური დაფარვის წყაროების გათვალისწინებით კომპანია ელოდება რომ სესხები დაიფარება 2024 წლის ბოლომდე.

სესხის მიმღები	სს სმარტ რითეილი	სს სმარტ რითეილი	სს სმარტ რითეილი	სს ვენჯორჯია	სს ვენჯორჯია	ჯამი
სესხის ოდენობა (ორიგინალ ვალუტაში)	5,000,000	5,000,000	10,366,334	3,541,735	1,167,988	
სესხის ვალუტა	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	აშშ დოლარი	
პროცენტი	12.3%	11.9%	11.3%	11.3%	8.4%	
ნაშთი 01.01.2020	4,750,636	5,595,822	13,297,914	4,502,283	5,333,994	33,480,649
მ.შ. ძირი	4,077,490	4,864,000	10,261,334	3,541,735	3,349,438	26,093,997
დარიცხული პროცენტი	673,146	731,822	3,036,580	960,548	1,984,555	7,386,652
ძირის დაბრუნება	(420,000)	(420,000)	(420,000)			(1,260,000)
გადაფასება					477,590	477,590
პროცენტის დარიცხვა	469,899	563,459	1,140,397	401,313	308,835	2,883,902
პროცენტის დაბრუნება						
ნაშთი 31.12.2020	4,800,535	5,739,281	14,018,311	4,903,595	6,120,418	35,582,141
მ.შ. ძირი	3,657,490	4,444,000	9,841,334	3,541,735	3,827,028	25,311,587
დარიცხული პროცენტი	1,143,045	1,295,281	4,176,977	1,361,860	2,293,390	10,270,554
ძირის დაბრუნება	(420,000)	(420,000)	(420,000)			(1,260,000)
გადაფასება					(209,070)	(209,070)
პროცენტის დარიცხვა	425,869	505,615	1,090,020	400,216	315,823	2,737,544
პროცენტის დაბრუნება						
ნაშთი 31.12.2021	4,806,404	5,824,896	14,688,332	5,303,811	6,227,172	36,850,615
მ.შ. ძირი	3,237,490	4,024,000	9,421,334	3,541,735	3,617,959	23,842,517
დარიცხული პროცენტი	1,568,914	1,800,896	5,266,998	1,762,076	2,609,213	13,008,098

7. არამატერიალური აქტივები

კომპანიამ 2019 წელს შეიძინა საბუღალტრო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა, რაც ასახულია არამატერიალური აქტივების ანგარიშზე ამორტიზაციის გამოკლებით.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში მოცემული ამორტიზაცია აგრეთვე სრულად წარმოადგენს ამ ერთადერთი არამატერიალური აქტივის ამორტიზაციას.

8. ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანიის ფულის სრული ბრუნვა ხდება მის ერთადერთ საბანკო ანგარიშზე თიბისი ბანკში.

9. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება სს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას მიერ შემოტანილი მოთხოვნის უფლებისაგან (გაცემული სესხები) **19'398'609 ლარის** ოდენობით და სს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას მიერ შემოტანილი თანხისაგან (რომელიც აგრეთვე გაიცა სესხად) **9'151'391 ლარის** ოდენობით.

კომპანია სესხებიდან ამოღებულ თანხას აბრუნებდა 2019-2020 წლებში აქციონერთან, კაპიტალის შემცირების გზით, რამაც 2019 წლის განმავლობაში შეადგინა **315'000 ლარი**, ხოლო 2020 წლის განმავლობაში **1'259'955 ლარი**. 2021 წელს კაპიტალი არ შეცვლილა.

კომპანიას აქციონერისაგან საწესდებო კაპიტალის ჩარიცხვისას მიღებული აქვს დამატებით 100 ლარი, რომელიც ასახულია ვალდებულებებში აქციონერის წინაშე.

10. გაუნაწილებელი მოგება

კომპანიამ 2021 წლიდან დაიწყო სესხებიდან ამოღებული თანხის დივიდენდად განაწილება. ჯამში 2021 წლის განმავლობაში განაწილდა **1'260'000 ლარი**.

11. გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიას არ გააჩნია გრძელვადიანი ვალდებულებები.

კომპანიას აგრეთვე არ გააჩნია რაიმე სახის პირობითი ვალდებულებები ან გარანტიები/დაპირებები (commitments).

12. მიმდინარე ვალდებულებები

კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები შედგება მე-9 შენიშვნაში ხსენებული აქციონერის ზედმეტად ჩარიცხული 100 ლარისაგან და თანამშრომლების წინაშე არსებული ვალდებულებებისაგან.

თანამშრომლების წინაშე არსებული ვალდებულებები გამომდინარეობს 2018-2019 წლებიდან, დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გასული წლების ანგარიშგებები.

13. ცვეთა და ამორტიზაცია

კომპანიას გააჩნია ერთადერთი ამორტიზებადი აქტივი, საბუღალტრო პროგრამა (იხ. შენიშვნა 7).

14. სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

2020 წლის განმავლობაში კომპანიის სხვა ადმინისტრაციული ხარჯი სრულად იყო ბანკის საკომისიოები, რომელიც შეადგენდა 45 ლარს.

2021 წელს კომპანიას არ ქონია ადმინისტრაციული ხარჯები.

15. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები

კომპანიის ყველა ტრანზაქცია არის დაკავშირებულ მხარეებთან.

16. სავალუტო და სხვა რისკები

კომპანიას გაცემული აქვს ერთი სესხი აშშ დოლარში. აღნიშნული სესხის ნომინალური ოდენობა არის **1'167'998 აშშ დოლარი**, ხოლო 2021 წლის ბოლოს არსებული კურსით აღნიშნული სესხის ძირის და მასზე დარიცხული პროცენტის ნაშთი შეადგენს **6'227'172 ლარს**. კურსის ცვლილება იწვევს აღნიშნული თანხის ზრდას/შემცირებას. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე უარყოფითი სცენარი და მათი ეფექტი:

აშშ დოლარის ლართან გაცვლითი კურსი თუ 2021 წლის 31 დეკემბერთან (3.0976) შედარებით 10%-ით შემცირდა (2.7878) კომპანიამ შეიძლება იზარალოს 622'798 ლარამდე.

20%-ით შემცირების შემთხვევაში აღნიშნულმა ზარალმა შეიძლება შეადგინოს 1.25 მლნ ლარამდე.

კომპანია არ ახდენს სესხების რეზერვირებას და მენეჯმენტის დაშვებით სესხები არის სრულად ამოღებადი. კონსერვატიული დაშვებებით კომპანიის აქციონერის მიერ მოხდენილია გარკვეული აქტივების გაუფასურება, რისი ასახვაც შეამცირებდა აქტივებს 8.5 მლნ ლარამდე (იხილეთ სს ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიას საჯარო ფინანსური ანგარიშგება).

17. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წელს სს ვენჯორჯიამ სრულიად გააწულა მისი დავალიანება კომპანიის წინაშე, რითიც კომპანიამ გასცა დივიდენდი და შეიმცირა კაპიტალი.

18. ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ანგარიშგება დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს.